გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 183

2022 წლის 17 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული №21 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის N21 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050 მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „გროსფარმ“-ის დირექტორის განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული პანმდემიის გამო, ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გროსფარმ“-ი ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის N21 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050 განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის N21 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050 განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე